№ 35.

წლიწადი პირველი

ივერია

27 ოკტ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი I. საქართველოს მატიანე (ივერიის კორრესპონდენციები)—გაკვრით,—საგარეჯო,—იგრის ხეობა,—თრიალეთიდამ.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა: ხმები გადეგ პერიოდების შესახებ—საფრანგეთი—ინგლისი—ოსმალეთი—რუმინია—სპარსეთი — III. ომის ამბები.—IV. ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა.—V ბრძოლა რომის დასაპყრობლად.—VI განცხადება.

საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

I

გაკვრით

ჩვენს გლეხებში ყოველს სასჯელზე უფრო გავრცელებული რბევა არის. ეს რბევა იმაში მდგომარეობს, რომ გლეხები, მერბეულები, მივლენ დამნაშავეს სახლში და წაართმევენ ან ფულს, ან პურსა და, თუ დამნაშავეს არა აქვს ან ერთი და ან არც მეორე, მაშინ გაიტანენ გირაოდ ან ქვაბს, ან თოფს, ერთის სიტყვით, რაც კი მოჰხვდებათ, არაფერს დაერიდებიან. ბევრი საცოდაობა მოხდება ხოლმე ამის თაობაზედ: ბევრს ქვრივს და ღარიბს აატირებენ ხოლმე მერბეულები, როდესაც ესენი შეცვივდებიან სახლში და უწყავენ სამიოდე ლიტრა პურს იმ ორიოდე კოდი პურიდგან, რომელიც შეადგენდა იმის წლის სარჩოსა. ბევრგან შეცვივიან ხოლმე ლეკებივითა და, სხვას რომ ვერას ნახვენ, გამოიტანენ უკანასკნელს ქვაბს და იმით მოაკლებენ უბედურს პატრონს ამ საჭიროს ნივთსა,— წაიღებენ ან ქვაბსა, ან თოფსა, ან სახნის საკვეთელსა და სხვ.

საქმე ის არის, რომ ამისთანა საცოდაობით წართმეული ისე მიდის, რომ გული აემღვრევა კაცსა, რომ დაფიქრდეს ამაზედა. როს დაარბევენ სულ ყველასა, ვინც ჰყვანდათ სარბეველი, წამოიღებენ ნარბევსა და პურსა და გაჰყიდიან ნახევარ ფასათა და ნივთეულებს დაუგირავებენ მედუქნეებს. გამორჩომილის ფულით იყიდიან ღვინო-არაყსა, დატყვრებიან კარგათა და დაანებებენ თავსა! რაც შეეხება დაგირავებულ ნივთებსა, ისინი იქმნებიან დუქანში ორიოდე კვირას და, თუ პატრონი არ მიჰხედავს ამ ხნის განმავლობაში, თელავში უკრავს მედუქნე თავს გასასყიდათა. ვინ იცის, რამდენი ცხენის საპალნე მარტო თოფი და ქვაბი წასულა ამ გვარად ახმეტიდგან თელავში გასასყიდლათა!

სასურველი იქნებოდა ის მაინცა, რომ თუ აღარ იშლიან და არბევენ, ის ფული მაინც, რაც ნარბევისაგან ჰსდგება, არ იხარჯებოდეს ღვინოზედ და არაყზედ მამასახლისებისა და გზირების სალოთაოთა, არამედ ინახებოდეს კერძო ალაგასა და იხარჯებოდეს ხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადო, სასოფლო საჭიროება რამ იქმნება.

X

15 აგვისტოს კახეთში არის ხოლმე დღეობა წმინდა გიორგისა სოფელს აწყურის ზემოდან—მთაზედ. რაღა თქმა უნდა, რომ ხალხი მრიელ ბევრი იცის ხოლმე ამ დღეობაშა. წელს ამინდი კარგი იყო და უფრო იყო იმედი, რომ ბევრი მლოცავი იქნებოდა,

იმ დილით, როგორც უსაქმობისაგან მოწყენილი, მეც წაველი იქ. დღეობა მართლა და კარგი იყო: მრავალი ხალხი, დიდი მხიარულობა, გაჭრიალებული გაჭრობა და სხ. და სხ. ვინ იცის, რამდენს სასიამოვნო სურათსა ნახავს აქ კაცი, რომელიც უსაქმოობისა გამო ეძებს გასართობს რასმე! აი, შეჰხედეთ რამდენიმე თავადიშვილი მოუძღვის დაფა-ზურნას წინ. გამტყვრალ-გახეთქილები ღვინისაგან ხან მიაწყ-მააწყდებიან ერთმანეთსა; ხან ერთი წაიქცევა დაააყენებენ და ხან მეორე. ღვინისაგან გონება გამოცლილები ღრიალებენ დაჭრილ დათვებივითა.

ჰაი გიდი, ქართველო თავადებო! თავადებო, რომელთ ერთი მუჭა გაჰფანტავდა ხოლმე მტრის სიმრავლესა! თავადებო, რომელთ დამარხულს სიგმირეს ესლაც მარტო კახური ღვინოღა ჰგრძნობს!

კარგად ნასიამოვნები და გართობილი, იქიდამ წაველი პირ-და-პირ ეკკლესიაში, მაგრამ კი აქ კინადამ ჩემი თვალები არ შევსწირე ჩემს სიამოვნებასა. შევდგი თუ არა ეკკლესიაში ფეხი, გამოფრინდა ერთი მამალი და შიგ თვალებში მეცა. გამიკვირდა, აქ ქათმებს რა უნდა მეთქი, მაგრამ ერთმა ბებერმა დამამშვიდა და მითხრა, რომ ეს არის აღთქმულიო; ბევრნი აუთქვამენ ხატსაო და მერე მიიყვანენ და შეუფრენენ ხოლმე ხატსაო. მართლაც დავიცადე რავდენიმე ხანი, და კიდევ მოიყვანეს ქათმები ხ ა ტ ი ს შ ე ს ა ფ რ ე ნ ა თ ა. ეკკლესიიდამ რომ გამოველი, შემხვდა ერთი ნაცნობი მღვდელი, რომელმაც იცის იმ ეკკლესიის გარემოება კარგათა. ლაპარაკში სხვათა შორის ვკითხე იმ მღვდელს ამ ეკკლესიის შემოსავალზედა. მღვდელმა მითხრა, რომ ამ ეკკლესიას ძრიელ ბევრი შემოსავალი აქვსო, ასე ბევრიო, რომ ამის შემოსავლითა ჰსცხოვრობს ძრიელ კარგა მღვდელიო, ძრიელ ბევრსა რჩებაო ადგილობითი ბლაღოჩინი მ. ჟ. მ. მაინც კიდევ სულაც არ ეტყობა, რომ ძრიელ ბევრი აკლდება ამის ჯამსაო, რომელსაც შემოსავალის წიგნში ჰსწერენო. მე არა მჯეროდა, რომ ბლაღოჩინს მაინც რამე სარგებლობა შეეძლოს ამ ეკკლესიიდამ, იმ მღვდელმა ნამდვილად დამარწმუნა, რომ ესე არისო და კიდეც ინატრა თუშურათ, რომ ნეტავი იმთვენი წყვილი წინდა დაგმართა ჩემიო, რამდენიც ჭრელი აბაზი ბლაღოჩინს მ.—ვს აქედამ და ალავერდიდამ ერგოსო.

X

საკვირველი ხალხია თელაველები და უფრო უფრო თელაველი კორრესპონდენტები! ღამის იმ დალოცვილების შიშით მაღლა ფრინველმა ვერ გაიჩუჩუნოს და მირ დედა-მიწაზედ ჭიანჭველამა. დალოცვილის შვილები ერთს ბეწოს არას გაუშვებენ უწესოს თავიანთ საზოგადოებაში, რომ არ მიაქციონ იმაზედ ყურადღება მკითხველის საზოგადოებისა. რასაკვირველია, რომ მხარეს, რომელსაც ჰყავს იგეთი მეთვალყურეები, არა გაუჭირდება რა, ესე იგი, იქ არა აქვს ალაგი არა რომელსამე უწესოებასა. უფ. „თ ე ლ ა ვ ე ლ ე ბ მ ა“ (იხილე „დროების“ 151 №-ში) საწყალი მკითხავებიც კი აღარ მოასვენეს თავიანთ სახლებში. მერე ვაი იმ მკითხავსა, რომელიც მოჰყვება ამათ კალმის ქვეშა!....განა მარტო იმდენს გეტყვიან მკითხავებზედ, რამდენიც ჯერ არს? არა, ისინი „დ ა ლ ა გ ე ბ ი თ“ მოგიყვებიან ან როგორა მკითხაობს იმათი უბედური მსხვერპლი მკითხავი, ან თითონ როგორ ელაპარაკნენ მკითხავსა და რომლის ღონისძიებით (ინდუქციურის თუ დედუქციურის) გამოაჩინეს იმისი ცრუ გულთა-მხილავობა. ყოველს ამის აღწერაში სუფევს აკინძული რიგი, ერთის სიტყვით..... ჩვენ „თელაველები“ დაწვრილებით გვაუწყებენ ხოლმე თავიანთ გამარჯვებას მკითხავებზედა. კიდევა ყოფილან ქვეყანაზედ კრილოვის „ც ნ ო ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე ნ ი“. რომელნიც შიგ დადიან „კუნსკამერში“ და სპილოს კი ვერ დაინახვენ ხოლმე.....

თელავი 1 ოკტომბერს. დ. რ.
1877 წელსა.

—

II.

საგარეჯო. ხუთმეტ სეკტემბერს საგარეჯოში მოვიდა გუბერნიის ექიმი საქონლის ჭირის თაობაზე, ამან მისცა გრცელი დარიგება ხალხს,—თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში. დაიბარა ახლო-მახლო სოფლების მამასახლისები და ყველას მისცა თავისის ხელით დაწერილი დარიგება; მაგრამ სამწუხაროდ ეს

რუსულად დაწერილი დარიგება იმათთვის გაუგებარი იყო. ბოლოს ამ ექიმმა მე მთხოვა რო გადამეთარგმნა ერთი ბირი ქართულად და აქედან გადაეწერინებინათ მამასახლისებს თავ-თავიანთვინ. ეს თხოვნა ადვასრულე და სიტყვიერათაც ჩავაგონე მამასახლისებს ეს დარიგება და გადავთარგმნე კიდეც.

მამასახლისებს ერთ ყურში შესდიოდათ ეს დარიგება და მეორეში გასდიოდათ, წავიდნენ და ადარც კი მოჰგონებიათ, რა უნდა გადვიწეროთო.

ამ დარიგებაში სსვათა შორის ექიმი ურჩევდა, რომ მოხელეებმა არ უნდა მისცენ ნება მედუქნეებს დაკლული ცხვარი გაბერონ, რადგან გამოკვლეულია რომ ხშირად მედუქნეები ავად-მყოფობენ სხვა და სხვა სნეულობით, ამათი ნასუნთქი იფანტება ცხვრის ხორცში და აქედან შეიძლება მთელ ხალხს მოედინოს. ამიტომ მოხელეებმა ჯერეთ უნდა გამოუცხადონ მედუქნეებს, რომ ადარ გაბედონ ცხვრის გაბერვა და მერე თუ შეამჩნიოთ გაბერილის ცხვრის ხორცი, მაშინვე უნდა მიწაში დამარხონ და დამნაშავეზე შეადგინონ ოქმი და წარუდგინონ ადგილობრივ მოსამართლეს. ამასთანავე აუკრძალეთო მედუქნეებს ქუჩაში საქონლის ხოცვა და მისი ფაშ-ფუშების რეცხა მდინარე წყალშიო და რუებშიო, რადგან ამას სვამს საქონელი და დაკლულ საქონელს შეიძლება ტანში სდგომოდეს ჭირი და აქედან ძრიელ ადვილად გადაედებათ სხვა სადს საქონელსაო.

თუმცა ეს დარიგება ფრიად გონივრულია; მაგრამ ვინ არის ამისი ალმასრულებელი. თქვენ მეტყვით, მოხელეები რას აკეთებენო? ბატონო, მოხელეები ისე ასე ფიქრობენ სოფლის კეთილ-დღეობაზე, როგორც მაგ-ძაგონის პოლიტიკაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ბირველი მიზეზი ხალხის ავათმყოფობისა უფრო არის წყლების წაბილწვა. ამ სოფლებისკენ თითქმის ყოველწლივ დიდი ავათმყოფობა იცის: საგარეჯო განიყოფება ორ ნაწილად, ბაზარ ზემოთა ნაწილს უწოდებენ თვალთავად, სადაც მომეტებულნი სოფლები დგანან და აქ ავად-მყოფების რიცხვი ძრიელ ცოტაა, ხოლო ბაზარ ქვემოთა ნაწილს უწოდებენ ვაკეთ, სადაც ოთხას ხუთას კომლამდინ ქართველები დგანან. აქ კი ავად-მყოფების რიცხვი ძრიელ ბევრია. ბაზარს უკან ჩამოუვლის მშვენიერი ბატარა სათავის წყალი, მაგრამ ამ წყალს კი ბაზარში ჭსწამლავენ. ბაზრელი ვინც საქონელს დაჭყლავს, იმის წელ-წულებს შიგა რეცხავს და ეს მისდით ვაკელებს სასმელად. აქაურ მამასახლისს იმდენი მოფიქრება და ძალა არა აქვს, რომ გამოიხსნას ვაკელები მოწამლულის წყლის სმისაგან და აუკრძალოს ამ წყლის მოწამლვა; მაგრამ რად იზამს? ვაკეში ქართველები დგანან, თვალთავს მდგომნი ხომ წმინდა წყალსა სმენ, თითონ მამასახლისიც იქა დგას და რა ენადგლება მის ქვემოდ თუნდა სულ ამოწყდნენ.

ა. კავთელი.

1877 წ. 2 ოქტომბერს.

III.

ივრის-ხეობა. ივრის ხეობაზე მშვენიერი ბურის მოსავალი მოვიდა, თუმცა კი ვენახების მოსავალმა უმტყუვნა მცხოვრებლებს. გამოუარა ქალაქიდან სეტყვამ და მარტყოფს, ნორიოს, უჯარმას, სართიჭალას და ხაშმს სულ ტუტა ადინა ვენახებსაც და მინდვრებსაც; მემრე გამოჭყვა მარტო ვენახებს ბატარძეულისას, ნინო-წმინდისას, საგარეჯოსას, გიორგი-წმინდისას, თოხლიაურისას, მანავისას და წვრილა სოფლების ვენახებს და სულ ერთიანად მირეგვა. ვისაც რვა ცხრა საბალნე მოსდიოდა და იმედი ჭქონდა, წრეულ რვა ჩაფი არ მოსვლია. ამიტომ გარეთა კახეთში ღვინოზე ძლიერ უკაცრავათ არიან და ძვირიც არის. თუმცა ამათი მინდვრები გადარჩა იმ რისხვას და მშვენიერი მოსავალი მოვიდა ბურისა და სიმინდის, ასე რომ მოხუცებულებს ასეთი მოსავალი თითქმის ამ ორმოც წელიწადში არ ახსოვთ, არამც თუ მარტო კახეთში არამედ ყველა საქართველოს კუთხეში, მაგრამ ბური კი საშინლად დაძვირდა. რა არის ამის მიზეზი? ჯერ ხომ ომია და ომი და მერე ეშმაკის ჩამომავალნი ვაჭარნი. ამათ კალოზეგე შეიტყეს სიუხვე ბურისა, თითონ გლეხებსაც უხაროდათ და ხმას ავრცელებდნენ, ამოდონა ბური არა დრეს არ მოგვსვლიაო. მოდიოდენ ამათთან დასეტყვილი მეზობლები კალოზედგე და კოდს შვიდ-შვიდ აბაზად ყიდულობდნენ. ვაჭრები კიდეგ კოდზე როგორც მაზანდა იყო თითო აბაზს უმატებდნენ და ეგაჭრებოდნენ; რასაკვირ-

ველია, გლეხებიც იმათზედ უფრო სიხარულით ჰყიდდნენ, რადგანაც მეტის მძლეველნი იყვნენ. ვაჭრები კიდევ ჰფიქრობდნენ, „დავტენოთ დიდრონი ბეღლები, პური სულ ჩვენ ხელში იქნება, მერე, რასაკვირველია მაზანდაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, როგორც გვინდა ისე გავყიდითო." ამაში დამარწმუნა ალექომ, როცა მე ვკითხე: რად ყიდულობ მაგდენ პურს მეთქი, გაიაფდება, ყველა კუთხეზე ბევრი მოვიდა. იმან მიპასუხა: „როცა იაფი იქნება კიდევაც ვიყიდი და შევინახამ იქამდინ მანამ არ დაძვირდება. ჩემ ბეღელს თაგვი არ გააფუჭებს, კოდს ოთხ მანათად ეხლავ მეხვეწებიან, მაგრამ არ ვაძლევ; მე ვიცი რომ უფრო კიდევ დაძვირდება; ჯარებისთვის იყიდიან, დიდი ძალი ჯარი თურმეა; იმათ ბევრი პური უნდებათ, ამბობენ ფუთი სამ მანეთად გახდებაო."

რასაკვირველია, ყველა ვაჭარს ეს ედგა გულში, აელოთ ჩანახები და დაეთრევოდნენ კალოებზე. როცა მოაქციეს ბეღლებში და გული იჯერეს, მისხდნენ კუთხეში. გლეხებს ეხლა იმდენი პური აღარ აქვთ რომ გაჰყიდონ, ვაჭრებმა მანქანებით გამოსცინცლეს. ეხლა ესენი შეიქნენ პურის გამყიდველნი. გლეხი რომ ამათთან მივიდეს ეხლა პურის სასყიდლად, —კოდში ხუთ მანეთს სთხოვენ. ერთბაშად ამათგან დადგინებული მაზანდის ხმა გავარდა ყველგან და ამიტომ პურის ფასმა აიწია. რასაკვირველია, ქალაქშიაც დაძვირდებოდა. გლეხებს იმდენი აღარ აქვთ წამოიღონ და რიგიან ფასად გაჰყიდონ; ახლა ვაჭრების ხელშია პურიც და მაზანდაც: ესღა ჰქონდათ საწყალ გლეხებს გასაყიდი ხოლმე ქალაქში და ამაშიაც ესენი შეეცილნენ. რასაკვირველია, ამ ოინებს არა მარტო სოფლის ვაჭრები სჩადიან, არამედ თვითონ ქალაქელებიცა. რამდენი სარდაფი მინახავს ფქვილის საცალოებით გაჭედილი და საიდამაც თითო-ოროლა ცალობით გამოჰქონდათ სიძვირის დროს გასაყიდლად. რასაკვირველია, ამაზე უნდა იყვეს მთავრობის ყურადღება მიქცეული, რადგან პური თავდაპირველი სახსარია ადამიანისა. ამის გამო ვაჭრებს არ უნდა ჰქონდეთ ნება პურის ყიდვისა იმ განზრახვით, რომ იაფათ იყიდონ, მერე დამალონ განზრახ, განზრახვე გააძვირონ. ორი თუმანი რომ ითხოვონ ფუთში მოდი და ნუ მისცემ, მაშ რას იზამ? რამდენი უღმერთოა რომ ამ საქმეებს ჰსჩადის. როგორც მოგიხსენე ზემოდ, ალექო, თუ ამას ამბობდა, ჯარს ძვირად მივყიდიო მაშინ, როდესაც ჯარი არის მისის ოჯახობისა და ქონების დამცველი და მისთვის ტყვიისათვის გული მიუშვერია, —თუ ჯარზედ ამას ამბობს, სხვაზედ რაღას იტყვის?

ა. კავთელი.

უფ. მეტყევემ როგორც მითხრეს თავის სუსხები არ მოიშალა. პატარძეული ძლიერ შეუწუხებია თურმე, ფიჩხსაც აღარ ატანინებს. წინეთ თურმე საფიჩხე მუქთად ჰქონდათ მიცემული ყველა სოფლელებს, ახლა აღარავინ აძლევს ნებას. ამ წინაზედ დარბევინებდნენ რუსულად დაწერილ ბრძანებას, მე შევიტყე ამათს და ამათ ფიჩხი გაუტანიათო, შეიტყეთ და მსწრაფლად მაცნობეთო. ტყის მცველებმა რუსული არ იციან, იმის წამკითხველნი სულ ამ მხარეზე ხუთიოდეა. ამათაც რომ არ წაუკითხონ და უარი უთხრან, მაშინ რა უნდა ჰქმნან საწყალმა მცველებმა? მაშინ იქნება ქალაქშიაც ჩამოიტანონ მეტყევის ბრძანება, გადაგვითარგმნეთო. ამ მეტყევეს, როგორც მითხრეს, მწერალი თურმე ჰყავს. განა არ შეიძლება ეშოვნა ისეთი მწერალი, რომელსაც ქართული ჰსცოდნოდა და რუსულიც.

IV

თრიალეთიდამ. სეკდემბრის პირველს რიცხვებში სოფელს დარბაზიდან გაქცეულმა ავაზაკმა მეხრალიმ მოიტაცა ყარაფაფახების და ქურთების თანაშემწეობით, რომელნიც რიცხვით იქნებოდნენ 400 კაცამდე, თრიალეთიდამ 600 ცხენამდე, რომელნიც ეკუთვნიდნენ ყაზახებს და ზოგიერთს გარეშე პირებს. მას შემდეგ გავარდა ხმა ხალხში, რომ მეხრალი ამ ცოტას ხანში დაეცემა ნემენცების კალონიას ეკატერინოფელდს (რატევანს) და აიგლებსო. შეშინებულმა ნემენცებმა დაუწყეს გამაგრება კალონიას. გააკეთეს გოდორყურები ქუჩის პირებში, ჩაყარეს ხერგები და ყოველი იქაური მცხოვრები, ვალდებულ ჰყვეს, როდესაც სამრეკლოს ზარი დაიკვრებოდა, მაშინვე ფურგონები გამოეტანათ და ჩაეყენებინათ დანიშნულს ალაგს ქუჩებში და მით შეეკრათ შემოსავალი კალონიაში გზა, დედაკაცობა და წვრილფეხობა უნდა შეყრილიყვნენ

ეკკლესიაში. 15 ენკენისთვეს ღამის სამს საათზედ, შეიქნა საშინელი ზარის რეკა; ტკბილად მძინარნი მცხოვრებნი რატევნისანი წამოცვივდნენ დაფეთებულნი თავიანთ საწოლებიდან. დედაკაცები და ყმაწვილები ეცნენ ეკკლესიას, კაცები ფურგონებს და იარაღს. შეიქნა საშინელი ხრიალი ფურგონებისა, ტირილი ბალღებისა და ხმაურობა ხალხისა. ყოველი ჰცდილობდა ბეჯითად აღესრულებინა თავის მოვალეობა, რაც კი ჰქონდა ნაბძანები შულცისგან. ამ არეულობის დროს ერთს დედაკაცს დაეცდინა ფეხი კიბისათვის სიჩქარით, ზემო სართულიდამ ძირამდინ გორვით ჩამოსულიყო და მოსტეხოდა ფეხი და მეორე დედაკაცზედ კიდევ ფურგონს გადაევლო. შემდეგ გავიგეთ ამ კალ-კალობის მიზეზი. ერთს განაპირებით კალონიიდან მდგომს ნემეცს სახლში ცეცხლი გასჩენოდა და რომ ხალხს შეატყობინოს, სამრეკლოს ზარი დაეკრა.

ხუთის თუ ექვსის დღის შემდეგ, ღამე,—ხელახლად ასტყდა ზარის რეკა, მაშინვე ფურგონები გამოიტანეს ნემეცებმა და ჩასხერგეს ქუჩის პირები და ამოუსხდნენ თოფებით ამ სანგრებს, იძახოდნენ: მესრალი მოდის ჩათახის მხრიდანაო. ერთი ნემეცი ამბობდა: მე ვნახეო ორმოც კაცამდინ იყვნენ თოფ-იარაღიანიო და მგონია ის მოწინავე ჯარი უნდა იყოსო. ამის მიზეზით, რომ გაეგოთ ნემეცებს მესრალის დიდი ჯარი ჰყავს თუ არა, ამოარჩიეს ჩაფრების ურიადნიკი ფაშა და გაგზავნეს დასაზვერად ქათვანაკჩისაკენ. ფაშა მოახტა ცხენს და გასწია გზა-გზა მაშევრის ჭალაში და რაკი მიახლოვებულიყო შეითალნოს ასავალს, ძირიდან შეეხედნა და დაენახა სერზედ, რომ ცხენოსანი გადმოდიან ჭალაში, ამასთანავე უეცრად ფაშას მოესმა საშინელი თქრიალი ცხენოსან ხალხისა, წარმოედგინა რომ მე დამჭერ.ს მიპირებენო, გამოექცია ცხენი, ამის ცხენის ფეხის ხმაზედ ცხენოსანნი გამოჰყოლოდნენ, თან ფაშა გულგახეთქით მოვარდა ნემეცებთან და დაიძახა: მოდიანო! მართლადაც არ გამოსულა ორი თუ სამი წუთი, მოისმა საშინელი ფეხის თქრიალი, ნემეცებმა დიდხანს აღარ უცადეს, დაუშინეს თოფები და სროლა გამართეს. შემდეგ რა ნახეს, რომ თოფის სროლაზედ პასუხს არავინ აძლევს, შესწყვიტეს სროლა. გათენდა დილა, ნახეს ნაომარს ადგილს ორი მკვდარი ძროხა, თოფით მოკლული. თურმე რა ყოფილა? ნემეცი მომავალებულა ლოქის ტყიდ.ნ და დაუნახავის რავდენიმე ცხენოსანი ქათვანაკჩასთან: იგინი ყოფილან თათრის მაყრები, რომელთაც მიჰყოლებიათ თათრის პატარძალი და ეს თათრები მიუღია მოწინავე ჯარად; ფაშას რომ სერზედ ცხენოსანი ჯარი დაენახა, აქლემები ყოფილიყვნენ და აქედამ ფაშა ურიადნიკი რომ გამოქცეულიყო ჭალაზედ ჩამოერბინა. მისდა საუბედუროდ, ჭალაში მდგარიყო ნახირი, რომელშიაც შამოვარდნილიყო ნადირი, გაეფთხო საქონელი და დასდევნებოდა ფაშის ცხენის ფეხის ხმას. ფაშას ჰგონებია მტერმა დამინახაო და მომდევსო. მორბის თურმე რაც შეუძლიან ცხენით ფაშა და მისდევს უკან თქაფა-თქუფით ნახირი. მოვარდა გულგახეთქილი ფაშა კალონიაში და ნახირიც ზედ წამოაწყდა ამოსაფრულს ნემეცებს. ამათ ჰგონებოდათ, არიქა მტერი დაგვეცაო და დაუშინათ თოფები. გამარჯვების ნიშნად ორი მკვდარი ძროხა კი ეპოვნათ მეორეს დილას.

სეკტემბრის 26 რიცხვსა ვარანცოვკიდამ წამოსულიყო მალაკანი დანიელ ფეოდოროვის შვილი ნიკალაი დანიილოვიჩი, რომელსაც წამოეღო თან ფურგონის სასყიდლად 280 მანეთი, მოსულიყო სოფელს ირლანჩაის, სადაც დაექირავებინა ერთი კაცი, რომელიც ირლანჩაის სხვათა შორ ყარაულებში იყო. ამ ყარაულს, რომელსაც უწოდებენ მუსტაფა ფიშიკ ოღლის შაესწრო თვალი, რომ ნიკალაი დანიილოვიჩს „ბუმაჟნიკში" ბლომად ფული აქვს, და როგორც მოსულიყვნენ ბეზაქლოს ჩამოსავალთან, ხანჯლით მოჰკლავს მალაკანს, ამოაცლის „ბუმაჟნიკს," გახდის ჩექმებს, თავის ცხენს დასტოვებს იქ და მალაკნისას კი წაიყვანს. ეს ამბავი იმავე დროს გამოაშკარავდა და შიშით დანარჩენი ხუთი კაციც, რომელნიც იდგნენ ირლანჩაის ყარაულებად თავიანთ ურიადნიკით ასან აღა ნასიბ ოღლით, გაიქცნენ ოსმალეთში, ეხლა თრიალეთში ირიცხება გაქცეულები 26 კაცი.

გ. ლ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ხმები კიდევ შერიგების შესახებ. დღე და დღე შერიგებაზედ ლაპარაკი ხშირდება ევროპაში და ამ საგანზედ ხმები მატულობენ. საფრანგეთის გაზეთები „Journal des Debats" მედგრად თხოულობს ინგლისისა და ავსტრიისაგან, რომ ამ საგანს მხურვალედ მოეკიდნონ

ვიდრე დრო არის. თუ ავსტრია ისევ ისე გულ-გრილად იქნებაო ამ საგანზედ, ამბობს იგივე გაზეთი, ბოლოს ინანებს და მაშინ გვიანლა იქმნებაო. ის სმაც დადის, ვითომ ოსმალოს ინგლისისათვის შუამავლობა უთხოვნიაო და ინგლისსაც უკისრიაო. სტამბოლიდამ ინგლისის გაზეთს „Standard"-ს ჭსწერენ, რომ ოსმალოს ელჩს საფრანგეთის წინაშე,—აარიფ-ფაშას მისმა მთავრობამ პირობები მიანდო, რომელზედაც ოსმალეთი თანხმა იქმნებაო რუსეთს შეურიგდესო, თუ სხვა სასელმწიფონი შუამდგომლობას იკისრებენო. საფრანგეთის გაზეთი „Memorile Diplomatique" ამბობს, რომ ინგლისის პირველი მინისტრი ლორდ ბიკონსფილდი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ დერბი ერთმანეთში მორიგებულან კიდეც მასზედ, თუ რა და როგორი ზომიერება მიიღონ შერიგებისათვისაო. ავსტრიაც მიემხრობა ინგლისის მეცადინეობას ომის შესაწყვეტლადაო. ხოლო ბერლინის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ გერმანია ინგლისის შუამდგომლობაში არამც თუ არავითარს მონაწილეობას არ მიიღებსო, არამედ წინაც აღუდგება, რადგანაც ყოველი შუამდგომლობა რუსეთისათვის საწყენი იქმნებაო. ამ ბოლოს დროს კი გაზეთების სიტყვით, გერმანიასაც როგორღაც გუნება ეცვლა ამ საგანზედ და შერიგების ხმებს ისე სასტიკად აღარ ეპყრობა.

კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთისა „Daily News" ბუსარესტიდამ 18 ოკტომბერს იწერება, რომ შერიგების ხმებს არც რუსის მხედრობის უმთავრეს სადგურში, არც ბუსარესტის დიპლომატიის გამგებლობაში ეურსაც არ ათხოვებენო. აქ ინგლისის მინისტრების ლაპარაკი უბრალო ტიტინად მიაჩნიათო. რაც უნდა იმახონ ინგლისის მინისტრებმა, თუ ავსტრია ინგლისს არ მიემხრობაო რუსეთის წინააღმდეგ, არაფერი არ გამოგვიო,—თუ ავსტრია მიემხრობაო, მაშინ ხომ საერთო მთელის ევროპიის ომიც ასტეხებაო. უნდა ესეც ვჭსთქვაო, რომ ამ შემთხვევისა რუსეთს სრულიადაც არ ეშინიანო. ცხადია, რომ იგი დაიმედებულია თვის მომხრეებზედ და მათგან ზურგი მაგარი აქვსო. ინგლისს ვისზედ უნდა ჭქონდეს იმედიო. საფრანგეთი, რომელიც ამ გვარს საქმეში ბევრს რასმეს ნიშნავს, ესლა ისე გართულია თავის შინაურს არეულობაში, რომ ანგარიშში მოსატანი არ არისო; ერთად ერთი მომხრე, რომელიც შეიძლება ინგლისმა კიდეე მოიპოვოს—ავსტრია არისო, მაგრამ ესეც შინ იმისთანავე განსეთქილებაშია, როგორც საფრანგეთიო. რუსეთის მომხრენი კ- ცხადია ვინც იქნებიანო. თვითონ რუსეთშიც საზოგადო აზრი იმაზეა, რომ ომი ბოლომდე განიგრძოსო, იმ დრომდე ვიდრე წადილს არ აისრულებსო უნაკლოდ. რუსეთში ეველა დარწმუნებულია, რომ დღეს იქნება თუ ხვალე, ოსმალო დამარცხდებაო. თითქმის ამასვე იწერება პეტერბურგიდამ მეორე ინგლისის გაზეთის „Times"-ის კორრესპონდენტი რუსეთის შესახებ.

ნემენტური „გაზეთი კელნისა" მოგვითხრობს, რომ იტალიის პალატის პრეზიდენტს კრისპის, რომელსაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრობას უქადიან იტალიაში, ჭქონია ლაპარაკი პეშტში გუნგრიის პალატის დეპუტატებთან ადმოსავლეთის საქმის შესახებ. მას უთქვამს: იტალიის მომეტებულის ნაწილის სურვილია, რომ ეველა სახელმწიფონი ერთმანეთს მიემხრონ და დაეთანხმნენო ადმოსავლეთის საქმის შესახებ, თუ რუსეთმა საბოლოოდ გაიმარჯვაო. უკეთესი გადაწყვეტილება ის იქმნებაო, რომ სამხრეთ სლავიანთაგან „კონფედერაცია" შეჭსდგესო და საბერძნეთმა ბალკანამდე გაიწიოსო. ამისთანა გადაწყვეტილება სამუდამოდ მოსპობს ომის განახლების მიზეზსაო.

საფრანგეთი. საფრანგეთში განსეთქილება ჯერ არ მოსპობილა, აქოთილი მაკ-მაჭონისაგან საქმეები ჯერ არ დალაგებულა და დღესაც გაცხარებული ბრძოლაა კალმით თუ სიტყვითა რესპუბლიკელთა და მაკ-მაჭონის მომხრეთა შორის. არ ვინ იცის რით გათავდება წესის დამცველის მაკ-მაჭონისაგან ჩამოგდებული უწესობა. გაზეთები გვარწმუნებენ, ვითომ მაკ-მაჭონს და მის სამინისტროს წარბიც არ შეუტოკნიათ არჩევანის შედეგის გამო, თუმცა ამორჩეულთა რესპუბლიკელთ საერთოდ 4,312,000 კენჭი მოუვიდათ და მათ მოპირდაპირეთ კი 3,636,000. 1876 წელს კი პირველთ მოუვიდათ 4,030,000 კენჭი, ხოლო მეორეებს 3,160,000.

გაზეთი „Republique Française" პირდაპირ ითხოვს, რომ მარშალი მაკ-მაჭონი პრეზიდენტობიდამ გადადგეს, უკიდურესნი რესპუბლიკელნი ითხოვენ, რომ მთელი სამინისტრო სამართლში მიეცეს ბორბოტ-მოქმედებისათვის სამსახურის აღსრულების დროს. „Journal des Debats" ურჩევს რომ მარშალი გადადგეს და ამას

გაზეთი „France" უმატებს, რომ მაკ-მაჰონს მაგის მეტი გზა არ დარჩომიაო. მაგრამ მაკ-მაჰონი და მისი სამინისტრო ყოველს ამას ერთს ყურში შეუშვებს და მეორედამ გაუშვებს ხოლმე. ერთსაც და მეორეებსაც განუზრახავთ თვის ადგილებზედ დარჩომა და დეპარტამენტების არჩევანში მონაწილეობის მიღება იმ აზრით, რომ ის არჩევანი თავიანთ სურვილზედ გაატარონ. ამას წინადაც ვსთქვით და ახლაც ვამბობთ, რომ ამ დეპარტამენტის არჩევანს, რომელიც 22-ს ოკტომბერს არის დანიშნული, დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთაროდ და ამიტომაც ძალიან ცდილობს მაკ-მაჰონი და მისი სამინისტრო, თავის გუნების კაცნი ამოარჩევინონ.

1879 წ. 30-ს იანვარს კანონის ძალით, უნდა 79 სენატორი გადადგეს და მათ მაგიერ, ანუ თვითვე იგინი, ხელახლად ამორჩეულ იქმნან. ვისაც 22-ს ოკტომბერს დეპარტამენტების არჩევანში ამოირჩევენ, ისინი იქმნებიან ზემოხსენებულის სენატორების ამომრჩევლად 30 იანვარს 1879 წელსა. სენატში ეხლა უმრავლესობა მაკ-მაჰონისაკენ არის. სენატს კიდევ სხვათა შორის ის უფლება აქვს, რომ დეპუტატთა პალატთან ერთად რესპუბლიკის პრეზიდენტი ამოირჩიოს ხოლმე. ამასთან ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ 1880 წ. თვით მაკ-მაჰონს პრეზიდენტობის ყავლი უთავდება და რასაკვირველია ბევრად იქმნება დამოკიდებული სენატზედ ხელახლად ამოირჩევენ მასვე თუ სხვას დააყენებენ. აქ ცხადია, რომ როგორც მაკ-მაჰონს და მის მომხრეებს, ისიც მის მოპირდაპირედ რესპუბლიკელთ დიდი სურვილი აქვთ, რომ თავისი კაცები გაიყვანონ დეპარტამენტის არჩევანში. ორივე მხარე ამისათვის ამ ჟამად დიდად იღვწის და არა ხარჯს არ ერიდება. დღეს თუ ხვალე იმის ამბავიც მოგვივა, აქაც გაჭპენტენ მაკ-მაჰონს და მის პოლიტიკას, თუ არა. იმ დრომდე კი მაკ-მაჰონი და მის სამინისტრო დიდს ცუდლუტობაშია და სურთ თავიანთ ადგილებზედ ფეხ-მაგრად იყვნენ.

რა კი მინისტრები სამსახურიდამ არ გადადგნენო და მაკ-მაჰონსაც მათი გადაყენება არ უნდაო,—ეგ იმასა ნიშნავსო, ამბობენ გაზეთები, რომ საზოგადო აზრს და სურვილს ეურჩებიანო და არაფრად აგდებენო. ეგ ცხადი საბუთიაო, რომ უნდათ უფრო დიდი არეულობა მოახდინონო. მაგრამ გაზეთი „Temps" ამბობს, რომ ყოველივე ეგ ტყუილი ამბავიაო, სამინისტროს სამსახურიდამ გადადგომა გათავებული საქმეაო და ეგ გამოცხადდებაო 23-ს ოკტომბერს, ესე იგი, დეპარტამენტების არჩევანის მეორეს დღესვეო. სხვა გაზეთები კი, მაგალითებრ, „Française" ამბობს, რომ მინისტრებს ფიქრადაც არა აქვსთ გადადგომაო, პირიქით, მზად არიან წარსდგნენ პალატთა წინაშე თვისის პოლიტიკის დასაცველადაო და ყოველსფერში პასუხის-გებას თვით ჰკისრულობენო. თუ პალატნი რომელსამე გადაწყვეტილობაზედ დადგებიანო, ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევენო და გადადგომაზედაც მზად არიანო, თუ მაკ-მაჰონი ახალთ მრჩეველთ მოიწვევსო. „Assemblee National"-ი კი ამბობს, რომ მაკ-მაჰონმა თავის მინისტრებს უთხრაო, სრული თავისუფლება მომიცია როგორც გსურდეთ ისე მოიქეცითო, მე კი თავის დღეში თანახმა არ ვიქნებიო მარცხენა მხარესთან ერთად საქმე ვაწარმოვოო. ორლეანელების გაზეთი „Soleil" ურჩევს რესპუბლიკელთ,—ბევრს ნუ გამოუდგებითო, თორემ სენატი ამ ახალს პალატასაც ხელახლად დაითხოვსო; რესპუბლიკელნი კიდევ თავისის მხრით ამბობენ, რომ არასფერს არ დავთმობთო და არის ერთი განხეთქილება და გაცხარებული ურთიერთის მკილავობა. ხოლო გაზეთი „Nord" გვარწმუნებს, რომ თუმცა ასეთი გაცხარებული კამათობაო რესპუბლიკელთ და მარშლის მომხრეთა შორის, მაგრამ მაინც იმედიაო, რომ პალატთა კრება ყველას დაამშვიდებს და მოარიგებსო.

კიდევ ვიტყვით, რომ საქმე გამნელებულია და არვინ იცის რა გამოვა რისაგან. ბევრი შიშობს, რომ საქმე ძალა-მომრეობაზედ არ მიდგეს. რასაკვირველია, ამ შიშის მოლოდინი რესპუბლიკელთაგან არა აქვთ. ნემეცური გაზეთი „Nordz deutche Zeitung" სამართლიანად ამბობს, რომ სახელი და დიდება რესპუბლიკისა იმაში მდგომარეობსო, რომ დღეს რესპუბლიკა და ამბოხი ერთი და იმავე არავის მიაჩნიაო; რესპუბლიკა თავისით თავის დღეში საერთო მშვიდობიანობას არ დაარღვევსო. პირიქით, საქმეთა მიმდინარეობა გვიმტკიცებსო, რომ ლიბერალური რესპუბლიკა საფრანგეთში უკეთესი იმედია მშვიდობიანობისაო. შესანიშნავია ამ მხრით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰერცოგ დეკაზის სიტყვა, ნიცცაში წარმოთქმული: მეო, უთქვამს ამ მინისტრს, მშვიდობის მყოფელს მინისტრს მეძახიან და ამით თავს ვიქადიო; მეო, თუ ჩემის ქვეყნის პატივსა და სახელს

არავინ შეესებაო, მშვიდობიანობის მსურველნი მსურველი და მოამხრე ვიქნებიო. ამ სიტყვამ უნდა გაჭვირტოს ყოველივე იმჭვრეტელობა გერმანიისა. მაგრამ დიპლომატების სიტყვას ხომ ბაყი არა აქვს!.. ეს გულთა მხილველმა ბისმარკმა ჩვენზედ უკეთ უნდა იცოდეს.

ინგლისი. მუსთარ-ფაშის დამარცხებამ ძალიან ხმაურობა აატეხა ინგლისში და გაზეთებშიც, რუსის მოამხრეთა თუ მოძულეთა, ერთი ბასი ატეხეს მასზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა შედეგი მოჰყვება ამ დამარცხებას. ყველა დიოწმუნებულია ამაზედ კი, რომ ამ დამარცხებას არ რაიმე გავლენა არ ექმნება დუნაიზედ ომის მიმავლობაზედ, გარდა იმისა რომ ცოტად თუ ბევრად ფრთას მოჭკვეთს ოსმალთა თამამობასაო. „საქმე იმაში კი არ არისო, ამბობს გაზეთი „Standard,“ ოსმალეთს ბევრი ხალხი გაუყლიტეს თუ ცოტაო, საქმე იმაშაოო, რომ მცირე აზიაში ოსმალთა საქმე ამ დამარცხების გამო საბოლოოდ წაგებულიაო. გაზეთი „Pall-Mall“ დაუძინებელი მტერია რუსეთისა და თუმცა ესეც დიდს მნიშვნელობას აძლევს რუსთა გამარჯვებას მუსთარ-ფაშაზედ, მაგრამ მოჭვა თავის ძველს ამბავს „დათვების სარბობაზედ.“ მეორე მტერი „Daily Telegraph“-ი უმატებს ამას რომ მიგვიხსო ჩვენებს რა სისარული შეუდგათ ამ გამარჯვების გამოო. მცირე აზია რომ რუსებს დარჩეთო, მაშინ ჩვენს სამზღვრებს რაღა უნდა ეშველოსო? განა ვერა ხედავთ რუსის მხეცების გაშლას ავგანისტანშიო! სხვა სახელმწიფოებს ევროპისას მარტო დუნაიზედ და ბოსფორზედ უჭირავთ თავი, რადგანაც იმათ ინტერესები მარტო იქა აქვთო. მაგრამ ყარსთან, არზრუმ ან, ბატუმთან არავის ხელი და საქმე არა აქვს, გარდა ინგლისსა და ოსმალოსაო.“

გაზეთი „Wold“ შემდეგის თავლით უყურებს ამ გამარჯვებას: „ვიდრე ომი დაიწყებოდა, ინგლისი სულ სმაზე იყურებოდა და თითქის სმაზედაც ხელი ედო, რადგანაც ყველას ეშინოდა, რომ რუსეთი, რაკი ოსმალოს ევროპიდამ გაჭეგის, მაშინვე გამოჭეგის ინგლისელებსაც ინდოეთიდამაო. რაცა რუსთა ტოტადენი მარცხი მოუვიდათ, მაშინვე გაჭერა ომის სურვილიც ბრიტანელთა შორის; რუსეთის აღარავის ეშინოდა; იქამდინ რუსეთის შიში აღარავისა ჭქონდა, რომ მცირე აზიაში ოსმალთა ჯარის ამოწყვეტამაც არ გამოათვიზლა არავინ. ამობაში რუსეთი შეიძლება გამარჯვებულიც დარჩეს და მერე? რუსეთმა ხომ სამაგიეროო უნდა აიღოს თავისის აუარებელის ხარჯისა. ამ სამაგიეროს აღებას მოერიდება ევროპაში სიფრთხილისა გამო და ეცდება სამაგიეროო მიიღოს მცირე აზიაში, გაიწევს სპარსეთის ზღვის-უბემდე და ხმელეთის გზას გადუჭრის ინგლისსა ინდოეთისაკენ. ავსტრიას და გერმანიას მცირე აზიის დარდი არა აქვთ.

„ესენი არამც თუ დაუშლიან, ხელსაც შეუწყობენ რუსეთს იმ კეთილგონიერების ჯილდოდ, რომ ბოსფორი რუსეთის მოხებით ყველასათვის ღია იქმნება; წაგებს მხოლოდ ოსმალო და დაჭარგავს ინგლისი. ბერძენი დამარცხებული იქმნება, ხოლო მეორე სალად, ჯანმრთელად და მზად იქნება ბრძოლისათვის. ინგლისმა წინადვე ეს უნდა გამოიხატოს, რომ მარტო თავის-თავის იმედი უნდა ჭქონდეს, რადგანაც სხვაზედ ყოველივე იმედი ფუჭია.“

თქმა არ უნდა, რომ ინგლისი ხელასლად ძალზე დატრიალდება, რომ ვიდრე საქმე შორს არ წასულა ომს როგორმე ბოლო მოუღოს. დიდს მეცადინეობას შეუდგება, რომ ყოველ შემთხვევისათვის სიფრანგეთი და ავსტრია მოიმხრაოს. ვენიდამ გაზეთს „Observer“-ს ჭსწერენ, აქ ხმა დადისო, რომ ორი ინგლისელი ჯონსტონი და ლორდი დარნლეიელი თავისით ჭსტდილობენო, სიფრანგეთს, ავსტრიას და ინგლისს ზავი შეადგენინონო რუსეთის წინააღმდეგ. ლორდ დარნლეიელს ბევრი ნაცნობი და კეთილის-მოფელი ჭყავს თურმე ვენაში დიდ-კაცებს შორის და მათის მეხებით მოუსერხებია რომ ავსტრიის იმპერატორს იგი მიუღია. მოჭოლია ეს ლორდი თავისის პოლიტიკის ამბავსა რუსეთის წინააღმდეგ, დიდის მოთმინებით იმპერატორს ეური უგდია და რაცა გაუთავებია იმპერატორს ღიმილით პასუხად ეს უთქვამსო: არა რაიმე მისგან, რაც თქვენ, ლორდო, მაუწყეთ, არ მიშლის დღეს სადილად მოგიწვიოთო.

ოსმალეთი. სტამბოლის კორრესპონდენტი „Times“-ისა იწერება, რომ მუსთარ-ფაშის დამარცხება ყველას საბოლოო დამარცხებად მიიჩნიათო, იმისთანა დამარცხებად, რომ ხელასლად საქმის გასწორება თითქის შეუძლებელიაო. ოსმალეთის მთავრობა ძალიან შეფიქრებულია და თუმცა მისაშველებლად გაგზავნეს 30 ბატალიონი, მათ შორის ბათომიდამ 12 ბატალიონი, მაგრამ შიშობენ, ვერ მიუსწრობსო. შერიგების მომხრენი აღიარებენო, რომ ეს უეჭველი გამარჯვებაა რუსებისაო და თუ ერთი

ამისთანა გამარჯვება ევროპაშიაც შეემთხვათო, მაშინ ევროპის სახელმწიფოებს საბუთი ექმნებათ შუამდგომელობა მიიღონ ომის მოსაკვეთადაო. ოსმალოს მთავრობის გაზეთები იმედს იძლევიან, რომ გაფანტული ჯარი მუხთარ-ფაშისა ხელახლად თავს მოიყრისო, მუხთარს შეუერთდებიანო და რუსებს სამაგიეროს გადუხდიანო, მით უფრო, რომ სტამბოლიდამ, ბათომიდამ და არზრუმიდამ დიდძალი ჯარია გაგზავნილი მისაშველებლადაო.

სტამბოლიდამ გაზეთის „Temps"-ის კორრესპონდენტი იწერება 12-ს ოკტომბერს, რომ აქაო ამ უკანასკნელს დროს კიდევ მოჰყვნენ ლაპარაკსა შერიგებაზედ და ევროპიის შუამდგომლობაზედაო. ამ საგანზედ ორი აზრიაო. ერთი უფრო კეთილგონიერნი—ამათ შორის სულთანია და გავლენიანნი მინისტრნი—ნდომულობენ შერიგებას, ხალხი კი, ესე იგი, აუარებელი უმრავლესობა შერიგებაზედ დიდს უარზედ დგასო.

რუმინია. გაზეთის „Politische Correspondenz"-ს ჰსწერენ ბუხარესტიდამ 19-ს ოკტომბერს, რომ გუშინ საღამოს დიდი ყრილობა იყო აქაურის ყველა ჯურის კონსერვატორებისაო და ბაასი ჰქონდათ მასზედ, თუ რა და როგორ მოევლება იმ პოლიტიკას, რომელიც ასეთს შიშს მოასწავებს ჩვენის ქვეყნისათვისაო, ერთხმად გადუწყვეტიათ, რომ რუმინიის ჯარი ოსმალეთზედ დასაცემად აღარ იყვეს გაგზავნილი, —რომ რუმინია არაფერში ხელშეკრული არ იქმნას სხვა სახელმწიფოსაგან და ეცადნონ, რუმინია განათავისუფლონ ოსმალეთისაგან და ევროპიის მფარველობის ქვეშ მიაღებინონ.

სპარსეთი. სპარსეთის შაჰი აპირებს თურმე ხელახლად მოგზაურობას ევროპაში. პარიჟის გამოფენაზედ დასწრებას ლამისო. თვისი შინა-კაცი და სარწმუნო მირზა-ალი გაუგზავნია კიდეც ევროპაში, რომ შაჰის მოგზაურობისათვის სამზადისს შეუდგეს.

ომის ამბები.

I

— 25-ს ოკტომბერს მისის იმპერატორების უმაღლესობისაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: ოც-და-სამს ოკტობერს ღენერალ გეიმანის და ტერ-ღუქასოვის შეერთებულმა ჯარმა ცხრა საათის ომის შემდეგ დაამარცხეს მუხთარ და იზმაილ-ფაშის ჯარები დევე-ბოინუს სიმაგრეებზედ. ოსმალოს ჯარი სრულიად აირივა და ასე არეული გაიქცა; ბანაკი, ზარბაზნები და სურსათი სულ იქ დაჰსტოვეს. დაწვრილებითი ამბავი და აგრეთვე ჩვენი და მტრის ზარალი ჯერ არ ვიცით.

— ვიზინკევიდამ 18-ს ოკტომბერს იწერებიან: „გუშინ ღენერალ გეიმანისაგან ამბავი მოვიდა, რომ 16 ოკტომბერს მისი და ღენერალ ტერ-ღუქასოვის ცხენოსანი ჯარი მდევრად მისდევს კეპრიკეისაკენ უკუმქცეულს მუხთარ-ფაშის ჯარსა. ქვეითი ჯარი ტერ-ღუქასოვისა მიდის შესაერთებლად ღენერალ გეიმანის ჯართან.

— მთავრობისაგან გამოგზავნილი 21 ოკტომბერს ტელეგრამმა ვიზინკევიდამ გვაცნობებს: მას შემდეგ რაკი 16 ოკტომბერს საღამოს ღენერალ გეიმანის წინაჯარმა თითქმის უომრად დაიჭირა კეპრიკეა, საიდამაც უკანა-ჯარი მუხთარის და იზმაილ-ფაშისა საჩქაროდ უკუ-იქცა ჰასანყალისაკენ—ჩვენი ცხენოსანი ჯარი მაინც ჰსდევნიდა ოსმალთა და შუაღამის ორს საათზედ წამოსწვდა და იერიშით დაეცა მტრის ბანაკსა. ყაზახების ორი სოტნა და ნიჟეგოროდის დრაგუნების ორი ესკადრონი მცირე სროლის შემდეგ პირველნი შეცვივდნენ შუა ბანაკში, დაჩეხეს ასზედ მეტი ოსმალი და დანარჩენნი კი გაიქციეს სრულიად. ექვსს ვერსტს კიდევ სდევდნენ და ბოლოს კაცისა და ცხენის დაქანცვისა გამო დევნა შეჰსწყვიტეს. 5-ს საათზედ დილით ჰასან-კალე ჩვენმა ქვეითა ჯარმა დაიჭირა კიდეც; იმავე დროს ჩვენი ცხენოსანი ჯარი ყურუჯუკამდე (18 ვერსტზედ არის არზრუმიდამ) მივიდა. ჩვენი ჯარი, რომელმაც ერთის წასვლით შეუსვენებლად 55 ვერსტი გაიარა, დადგა შესასვენებლად. ოსმალნი გამაგრდნენ დევე-ბოინოში, რომლის პირდაპირ გროვდება აწ ყამად ღენერალ გეიმანის და ტერ-ღუქასოვის ჯარები. ჰასანყალის საქმე და ჩვენის ჯარის ხერხიანი სვლა არზრუმისკენ ყველა ქებას გარდაემატება. ამასთან ჩვენი ზარალი სულ სათქმელიც არ არის.

— მთავრობისაგანვე გამოგზავნილი 23 ოკტომბერს დეპეშა გვაცნობებს ვიზინკევიდამ: „ჰასანყალასთან ომში ტყვედ დაგვრჩნენ ერთი ფაშა და 120 ჯარის-კაცი. მეორეს დღეს ნაომარს ადგილზედ და გზა-და-გზა ხუთასი მკვდარი მტრისა დავმარხეთ; ბევრი თოფი და ტყვია წამალი დაგვრჩა. ყარსი ძლიერ მჭიდროდ გარე-შემორტ-

ყმულია; ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის სიმაგრეების პირ-და-პირ ზარბაზნებს ვმართავთ. დაღესტანში ანდისის ოლქაში აჯანყება მოსპობილია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხარეში კი აჯანყებულნი ჯერ მაგარზედ დგანან

II

დუნაიდამ შემდეგი ცნობა მოვიდა:

— მთავრობის დეპეშა ბოგოტიდამ 19 ოკტომბერს გვაცნობებს: გორნი დუბნიაკთან და ტელიშსთან ომებში 12 და 16 ოკტომბერს ტყვედ დაგვრჩა 12 ტაბორი ქვეითა ჯარი, 5 ესკადრონი ცხენოსანი, 7 ზარბაზანი—სულ შვიდი ათას კაცამდე, მათ შორის ორი ფაშა, ორასამდე აფიცერი, სამი ინგლისელი, ერთი ფრანციელი; ერთი ინგლისელთაგანი ოსმალოს სამსახურის პოლკოვნიკაა და ორი კი მკურნალნი არიან და დრომდე ოსმალთა დაჭრილების მოსავლელად მივუჩინეთ. ამ დამარცხების ზარმა რადომირცაშიაც თავი იჩინა. შევკეტ-ფაშა 12 ტაბორით იქიდამ გაიქცა, დაინახა თუ არა ჩვენი ცხენოსანი ჯარი. ჩვენი ცხენოსანი ჯარი უკან დაედევნა. რადომირცის ხიდი მთელია და ჩვენს ხელშია.

— გაზეთის «Кавказъ»-ის ტელეგრამმაში ჰსწერია: ლონდონის გაზეთში „Standard“ დეპეშა მოსულია, რომ რუსის ჯარი ციხის ასაღების გაწყობილობითა მეჯიდიდამ სილისტრიისაკენ წავიდაო. რაც შეტყობილი გვაქვს, იქიდამა ჰსჩანსო, რომ სტამბოლში ძალიან შიშობენო. თვით გაზეთი Neue freie Presse, რომელიც მეტის-მეტი ერთგულია ოსმალებისა, ისიც კი აღიარებსო, რომ სტამბოლში საშინლად ყურები ჩამოჰყვარეს იმ ხმების გამო, ვითომც პლევნა აუღიათ და ღენერალი გურკო ადრიანოპოლის გზაზედ არისო. ოსმალთა გაზეთები კი ცდილობენ დაარწმუნონ ყველანი, რომ ოსმანს-ფას ნახევარ ნოემბრამდე სურსათი არ შემოაკლდებაო.

— გაზეთს «Кавказъ»-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშები: 20-ს ოკდომბერს ლონდონიდამ გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი ბოგოტიდამა იწერება, რომ 15 ოკტომბერიდამ რუსებმა თავისი სანგლები ბევრად წინ წაჰსწიეს და ეხლა ისინი პლევნაზე ძალიან ახლო არიან. პლევნა თითქმის სრულიად გარშემორტყმულია, რუსის ჯარი ძალიან კარგს გუნებაზეა, სურსათი ბლომათა აქვთ.

— ბერლინიდამ ჰსწერენ გაზეთს „Times“-ში, რომ ცდილობენ მზად იყვნენ შერიგების ჩამოსაგდებად იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დიდს ომს მოიგებს. ინგლისს თუმცა სურს შეიტყოს სხვა სახელმწიფოების აზრი მასზედ თუ რა პირობით უნდა მოხდეს შერიგება, მაგრამ არავის აქვს იმედი რომ სახელმწიფოებმა გამოთქვან რამე ამ საგანზედ, ვიდრე რუსეთი ან სრულიად არ გაიმარჯვებს, ანუ ვიდრე არ დამარცხდება.

— ბოგოტიდამ 21 ოკტომბერს მთავრობის დეპეშა გვაცნობებს: ღენერალმა კარცოვმა გვაუწყა, რომ ტეტებენი ომით დავიპყარით. შვიდი დიდი სანგალი იყო და 30 პატარა. ნაომარზედ ასს მკვდარზედ მეტი ოსმალოს მკვდარი დარჩა. მრავალი სურსათი, იარაღი, ტყვია, წამალი და პირუტყვი საქონელი დაგვრჩა. გუშინ მთავარ-სარდალმა დაიარა დოლნი დიუბნიაკის სიმაგრეები, რომლიდამაც წინა ღამეს ოსმალოს ჯარი გაიპარა პლევნისაკენ, რა რომ ჩვენი ჯარის მოდენა ჰსცნო. ამ სახით ეს მეტად გამოსადეგი ადგილი ჩვენ უომრად დავიტოვეთ. ჩვენი ჯარი გუშინ ორს ვერსტზედ კიდევ წინწადგა დოლნი დუბნიაკიდამ პლევნისაკენ და გამაგრება დაიწყო ახალს ადგილას. ორხანიესაკენ ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ლუკოვიცა დაიჭირა და ცხენოსანი ჯარი კი წინ წააყენა. შევკეტ-ფაშამ უომრად ორხანისაკენ დაიწია.

ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა

(შემდეგი *)

„ხალხს მხოლოთ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს და გონიერად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი.“

ლაველეი.

„ცოდნა არს ძლიერება ანუ ძალა.“

ბეკონი.

„ეგი არს საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა.“

ვივერშამ.

III

ჩვენ ეხლა თვალ წინა გვაქვს ხალხის ცხოვრების სურათები, რომლებზედაც ნათლად ეტყობა ხალხის საჭიროებანი; ამისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რა ხასიათისანი უნდა იყვნენ სასწავლებელნი, რომ რა არი მართლაც შეიძლონ ხალხის გამოხსნა საძაგელ-მდგომარეობიდამ.

---

*) „ივერია“ №№ 33 და 34.

სოფლის სასწავლებლების ხასიათზე, მათ მიმართულებაზე ჩვენს საზოგადოებაში შეხვდებით სხვა შეხედულობასაც გარდა იმ უკეირო და არაფერზე დაფუძნებულ შეხედულობისა, რომელიც თხოულობს თავდა-პირველადვე რუსულის ენის შესწავლას. ამ შეხედულობის მომხრეები ფიქრობენ, რომ სასოფლო სასწავლებელმა უნდა გაავრცელოს ჩვენ ხალხში არა მხოლოდ წერა-კითხვა, არამედ ხელოსნობის და მეურნეობის ცოდნაც. ამათის აზრით სასოფლო სასწავლებელს უნდა ჰქონდეს სავენახე ადგილი და სადურგლო იარაღი. მისი მასწავლებელი უნდა იყვეს კარგად დახელოვნებული მეურნეობაში, ხელოსნობაში და, რასაკვირველია, სწავლის გადაცემაში, რომ რა არი ასწავლოს მოწაფეებს როგორც წერა-კითხვა, ისე ხელოსნობა და მეურნეობა.

ამ გვარ შეხედულობას სასწავლებლის საგანზედ ერთ დროს პირველი ადგილი ეჭირა როგორც მთელ რუსსეთში, ისე ჩვენ სამშობლოშიაც. მაშინ თითქმის აღარავინ ეჭვნეულობდა, რომ სასოფლო სასწავლებელი ერთსა და იმავე დროს უნდა შესდგომოდა წერა-კითხვის, მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელებას ხალხში. ამ განზრახვით მაშინდელ სასტატო სემინარიაში სხვათა შორის შეიტანეს დურგლობისა და ბოსტნეულობის სწავლაცა და ფიქრობდნენ, რომ მოხსენებულის სემინარიის მოწაფეები მოჰფინამდნენ მეურნეობას და ხელოსნობას საქართველოში.

თუ რად ეჭირა ამ გვარს შეხედულობის სასწავლებლის საგანზედ უპირატესი ადგილი და ყველა, როგორც პედაგოგები, ისე საზოგადოებაც ჰქადაგებდნენ მეურნეობის გავრცელებას სასწავლებლის შემწეობით, ეს ადგილი მისახვედრია იმისათვის, ვისაც თვალი უდევნებია რუსულის ლიტერატურისათვის. აბა მოიგონეთ აქ რა დრო იყო ამ რვა წლის წინეთ. მაშინ წერილი წერილზედ იბეჭდებოდა ჟურნალებში—უმეტესად ჟურნალში «Русское Слово» მასზედ, რომ ბუნების-მეტყველების შესწავლა ხალხის კეთილ-დღეობისათვის ფრიად საჭიროა, რომ რუს კაცს ნიჭიერება აქვს მის შესწავლისათვის, რასაც თავის ხუთი გრძნობით ჰხცნობს და ბუნების მეტყველებაზედ კი არ აქცევენო ყურადღებას; რომ რუსეთი უნდა შეუდგეს მეურნეობას და ხელოსნობას და ამისათვის ყოველს კუთხეში უნდა მოიმართოსო ხელოსნური, მეურნეული და სხვა ამ გვარი საქმით გამწვრთვნელი სასწავლებლებიო. (მოვიგონოთ აქ გარდაცვალებულის შჩაპოვის წერილები—უფრო «Народная Экономія»). მართალს ჰქადაგებდა რუსული ლიტერატურა თუ არა, ამის გასინჯვას ჩვენ აქ არ შევუდგებით და არც გვაქვს ეგ განზრახვად. ჩვენ მხოლოდ აქ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გვარის აზრების გამოთქმას მწერლობის მხრით ჰქონდა გავლენა პედაგოგებზე და სხვა პირებზედაც. ამათ ასეთი დასკვნა გამოიყვანეს: თუ ჩვენის ხალხისათვის მეურნეობაც და ხელოსნობაც საჭიროა, მაშ ეს საგნები უნდა შევიტანოთ სასოფლო სასწავლებელში, რომელმაც წერა-კითხვასთან მოხსენებული საგნებიც უნდა გაავრცელოს ხალხში. რასაც ფიქრობდნენ რუსეთში სასწავლებლის შესახებ, იმასვე ფიქრობდნენ ჩვენს სამშობლოშიაც და აი, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, სასტატო სემინარიაში მოწაფეებს ასწავლიდნენ დურგლობას და ცოტაოდენა მეურნეობას, რომ რა არი ამათ ბოლოდროს ხალხისათვის გარდაეცათ თავიანთი ნასწავლი. მაგრამ საქმემ ნათლად გამოაჩინა, რომ მაგ სახით ხალხში მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელება შეუძლებელია. მთელ საქართველოში ერთი კაციც ვერ მოიძებნება, რომელსაც სასტატო სემინარიის მოწაფისაგან ცოტათი მაინც შეესწავლა ხელოსნობა და მეურნეობა. ზოგიერთი აზირებული კაცები ამ გარემოებას სრულებით ყურს არ უგდებენ და კიდევ ლაპარაკობენ და სწერენ, რომ სასოფლო სასწავლებელში სხვათა შორის უნდა ასწავლიდნენ ხელოსნობას და მეურნეობას; რომ სასოფლო სასწავლებელს თავის საგნად უნდა ჰქონდეს როგორც წერა-კითხვის, ისე მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელება.

რასაკვირველია დიდად სასიამოვნო იქნებოდა ხალხის კეთილ-დღეობის ყოველს მსურველთათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წერა-კითხვასთან მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელებაც ხალხში; რომ თერთმეტისა და თორმეტის წლის ბავშვებს შესძლებოდათ სასწავლებელში იმ გვარად შესწავლა მეურნეობისა და ხელოსნობისა, რომ ბოლოდროს მოეხდინათ გავლენა თავიანთ დედ-მამეებზე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეგ შეუძლებელი საქმეა.—და ვინც ფიქრობს მაგ გზით გაავრცელოს ჩვენ ხალხში ხელოსნობა, თუ მეურნეობა, იმას უნდა გაუმჟღავნოთ, რომ ის შემცდარი ბრძანდება, ატყუებს თავისთავს. ეს კიდევ არაფერი—ის ატყუებს ხალხს და ხდება პასუხის მგებელად შთამამავლობის წინაშე მარ-

თლაც, ვის გაუგონია და სადა თქმულა, რომ თორმეტის წლის ბავშვს შეესწავლოს მეურნეობა და ხელოსნობა? განა ამის აგებულებას შეუძლიან ალტანოს ხელეწოს და შალაშინის სმაება? განა ამის ჭკუა-გონება ადვილად მიხვდება, თუ რა დროს რა თესლეულობა უნდა დაითესოს, თუ რასაირად უნდა მოჭუვლეთ ეურძენი, თუ როგორ უნდა დასწურონ ეურძენი და დაეყენონ მაჭარი, რომ რა არი ბოლოს კარგი ღვინო დაუდგეთ?

ვიმეორებ, განა ბავშვებს შეუძლიანთ ყველა ამას ეკერონვანი ეურადღება მიაქცერან? გარდა ამისა, განა შესაძლებელი საქმეა, რომ ბავშვებს ოთხის წლის განმავლობაში დაზათიანი წერა-კითხვა, საგნების თავდაპირველი კურსიც ისწავლონ და ამავე დროს დასელოვნდნენ კიდეც მეურნეობაში და ხელოსნობაში? ვთქვათ, რომ მანქანების ძალით ბავშვებს შეუძლიანთ ოთველი ეს ადვილად შეისწავლონ, ოთველს ამას მიხვდნენ, ოთველივე ეს იმათ აგებულებამ ალტანოს... განა შესაძლებელი საქმეა, რომ ვიშოვნოთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც დასელოვნებულნი იყვნენ როგორც ტოდნის გარდატემაში, ისე მეურნეობაში და ხელოსნობაში? თუ თესნოლოგიურ ინსტიტუტში და მიწათ-მუშაობის აკადემიაში (Земледѣльческая Академія) კურს დასრულებულები ვერაფერს ხდებიან, საქმით უხეიროდ იქცევიან და მხოლოთ ტუეების მცველად დგებიან, ნუ თუ სოფლისტოტ ინსტიტუტ-ს ანუ სემინარიის მოწაფეებს შეუძლიანთ მეურნეობის საქმე ზედ-მიწევნით იცოდნენ!? მე მრწამს, რომ მწიგნობრებისაგან—ინსტიტუტის მასწავლებლებისაგან გვგონიდი ექნებათ მათ, თუ ესა და ეს ხე ასე იმენობა; ამა და ამა მტენარეს ესა და ეს ნიადაგი უნდა; ცერცვს და მუხუდოს ესა და ეს მიწა მოუსდება; კომბოსტოს ბევრი მოწყვა უნდა და სხვა მრავალი ამ გვარი ზეპირ-დარიგება. მაგრამ განა გაგონით და წიგნში ამოკითხვით შეუძლიან კაცს დასელოვნდეს მეურნეობაში? აგრეთვე განა ათასში ერთხელ შალაშინის გაკვრით შეუძლიან კაცს შეიქნეს მცოდნე ღურგლობისა და ასლა როგორი მცოდნე? ისეთი მცოდნე, რომელსაც შეეძლოს თავის შეგირდები მოუმზადოს ჩვენ სალხს ხელოსნებად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც კი ამ თქმულს ჩაკვირდება, ყველა ნათლად დაინახავს იმ შეხედულობის უსაფუძლობას, რომელიც თსოუფლობს ერთსა და იმავე დროს წერა-კითხვის, მეურნეობის და ხელოსნობის სწავლებას სასოფლო სასწავლებელისაგან. მაგრამ ამ შეხედულობის უსაფუძლობა და მისი მომხრეების შორ-გაუმჯერეტელობა და დაუდეგრობა უფრო ცხადი იქნება ყველასათვის, თუ მიკაქცევთ ეურადღებას დასავლეთ ევროპიის სასალხო სასწავლებელს და მოკლეთ გაჩვენებთ, თუ რა გზით დასდგა იმ ნიადაგზე, რომელზედაც ესლა დგას.

რადგანაც ამ წერილის სიგრძე ნებას არ მაძლევს, დასავლეთ-ევროპიის ეველა სახელმწიფოების სასალხო სასწავლებლები განვიხილოთ ვრცლად და თვითეველად, ამისათვის მკითხველის ეურადღებას მიავქცევ მხოლოდ ორის წარჩინებულის სახელმწიფოების სასალხო სასწავლებელზედ—სახელდობრ-გერმანიის და ინგლისის სასწავლებელზედ.

როგორც გერმანიაში, ისე ინგლისში ერთი და იგივე მსვლელობა ჰქონდა სასწავლებელის საქმეს. ამ ორივე წარჩინებულ სახელმწიფოში სასოფლო სასწავლებელი დაფუძნდა მეთექვსმეტე საუკუნიდამ თავდა-პირველად იმ განზრახვით, რომ რა არი სალხს შესძლებოდა ახალის სწავლის შესათვისებლად საღმრთო წერილის კითხვა, ლოცვების შესწავლა, ზიარების დანათლიების განმარტება. ერთის სიტუვით სასოფლო სასწავლებელი დაფუძნდა პირველად სასულიერო ნიადაგზე და სასულიერო მიმართულებით. ამის აღორძინებას, ამის კეთილდღეობას და ღრმად ფესვების გადგმას ცდილობდნენ ასალის საწყმუნოების მომხრეები. (მე აქ მხოლოდ ასალის საწყმუნოების მომხრეებზე და მათგან დაარსებულ სასწავლებლებზე ვლაპარაკობ და სასეში არა მაქვს იეზუიტების საქმეები.) ბოლოს ორივე სახელმწიფოში სასწავლებელმა მიიღო სამოქალაქო თვისება და მას აარსებდნენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ რა არი სალხს სასულიერო წიგნების კითხვა შესძლებოდა, არამედ იმისათვისაც რომ სალხი ჭკუა-გონებით, ზნეობით, სულით და ხორცით განვითარებულიყო და ამ გვარად სალხის თვითეველი წევრი შექმნილიყო გონიერ-მოქალაქედ, ჭკუა-დამჯდარ წევრად სახელმწიფოისა, ტოტსად და ეველაფერის მიმხვედრ-კაცად. აბა ეური დავუგდოთ, რას ამბობს ვილჰელმი III, შემდეგ ნაპოლეონის პირველის შესევისა გერმანიაში, (1806—1807წ.) სასწავლებელის მნიშვნელობაზე: „ჩვენ არ უნდა მივცეთ თავი სასოწარკვეთილებას,— უნდა შევიგრძოთ ერთად, შევერთდეთ სულით, რათა დაუბრუნოთ ჩვენ სამშობლოს ბედნიერი

დღეები. ამ შემთხვევაში სასოფლო სასწავლებელი უებარი წამალია. პირველ-დაწყობითმა სწავლამ უნდა შეაკავშიროს ერთი ერთმანეთთან ჩვენი ქვეშევრდომნი.“ ამ გვარი აზრების ძალ-დატანებით შეუდგნენ სასწავლებელის გადაკეთებას, მის თვისების გამოცვლას და რომ ბეჯითად ხალხს ეტარებინა თავისი შვილები სასწავლებელში, დააწესეს ვალდებულებითი სწავლა (обязательное обученіе) გერმანიაში. ეს სახსარი მაგდენად ვერაფრად გამოდგა და აი სასწავლებელში შეიტანეს ხელოსნობის და ზოგ ადგილებში კიდევ მეურნეობის სწავლა. ასე, ორივე ჩვენგან ამორჩეულ სახელმწიფოში სასოფლო სასწავლებელს დაურთეს ხელოსნობა და მეურნეობა. მაგრამ ხალხის ჭკუა-გონება, ხალხის დალოცვილი, საქმიანი აზროვნება მალე მიხვდა, რომ ბავშვები აგრე მოწყობილ სასწავლებელში ვერც წერა-კითხვას, ვერც ხელოსნობას და ვერც მეურნეობას ვერ ისწავლიან და აი ინგლისში 1818 წ. რა შესანიშნავი ამბავი მოხდა: სოფლების და ქალაქების საზოგადოებამ თავიანთ წარმომადგენლებს მიანდეს პარლამენტში შეეტანათ აზრი ხელოსნობის გაუქმებაზე სასწავლებელში და აი ამათ რა წარმოსთქვეს პარლამენტის წევრთა წინაშე: „ათის-წლის გამოცდილებამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ ხელოსნობის სწავლა სასოფლო სასწავლებლებში სრულებით ამაოა. ათის წლის განმავლობაში ჩვენი შვილები არამც თუ არა ხელოსნობას არ მიეჩვივნენ, არამედ უფრო სუბუქად დაუწყეს ცქერა ხელოსნობას, თუმცა მამავალში ამან უნდა მისცეს მათ ლუკმა-პური,—მიეჩვივნენ მასალის ხდენას, საქმის დაუდევრად კეთებას და ამასთანავე წერა-კითხვაც ვერ ისწავლეს.“ წარმომადგენლებმა ესეც ითხოვეს, რომ ხელოსნობა და აგრეთვე მეურნეობა მათის შვილებისათვის ესწავლებინათ სრულებით სხვა გზით. მალეც გამოიგონეს ეს სხვა გზა. ყველა სოფლის საზოგადოება სასწავლებელში კურს შესრულებულებს აძლევდა შეგირდად გამოჩენილ ხელოსნებს რამდენიმე წლობით და სხვა და სხვა პირობებით. ხელოსნები სვინიდისიანად ექცეოდნენ და მთელი ინგლისი მალე მოიფინა ხელოსნის კაცებით. ამას ესეც დაუმატეს ბოლოს, რომ სხვა და სხვა ადგილებში მუშა ხალხს ასწავლიდნენ დაბიურ ენაზე საგნებს ხელოსნობის შესახებ. ასეთი წესი იყო ინგლისში 1867 წ. და იქნება ეხლაც ამნაირი წესია. რაც შეეხება გერმანიას, აქაც სრულებით მოაშორეს სასოფლო სასწავლებელს ხელოსნობის და მეურნეობის შესწავლა. გერმანიაში აი რა წესია: ყმაწვილები ჯერედ სწავლობენ სასოფლო სასწავლებელში; სწავლის გათავების შემდეგ აქ, ისინი შედიან სხვა და სხვა სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებელში; მაგრამ ამავე დროს სწავლის შესასრულებლად კვირაში ანუ ორჯერ, ანუ სამჯერ ბეჯითად დაიარებიან სწავლის გასაგრძომს სასწავლებელში. ამ გვარის სასწავლებლებით მოფენილია ეხლა მთელი გერმანია.

ეს მოკლედ მოყვანილი მსვლელობაც სასოფლო სასწავლებელისა გერმანიაში და ინგლისში ნათლად ამტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ წერა-კითხვისა, ხელოსნობის და მეურნეობის არევა ერთად დომხალივით შეუძლებელი საქმეა, რომ სასოფლო სასწავლებელს თავისი საკუთარი საგანი აქვს და მხოლოდ ამ საგნის განხორციელებას უნდა მისდევდეს იგი. რაც შეეხება კიდევ ხელოსნობის და მეურნეობის შესწავლას, ამის გზა სრულებით სხვა უნდა იყვეს.

ქვემო ქართლელი.

(შემდეგი იქნება.)

ბრძოლა რომის დასაპყრობლად კონსტანტინოპოლში.

(შემდეგი *).

შევიდა თავის ოთახში თუ არა იუსტინიანე არ მოერიდა ნარზეს და მის წინ გადაეხვია თეოდორას.

— რა რიგად ბედნიერი ვარ, რა რიგად ვიქადი თავს, რომ ამისთანა ცოლი მყევხარ, ჰსთქვა იუსტინიანემ: რა ლამაზი იყავ, თეოდორავ, დღეს იმ კეთილ-შობილურის მრისხანებით ანთებული! რით შემიძლიან გადაგიხადო, შენ თვითონ ჰსთქვი, ჩემო უკეთესო ვეზირო, ჩემო თანა-შემწევ!

— თუ მართლა მე სუსტს, დედა-კაცსა, გამიზიარებ შენ დაწყობილობას და განზრახვასა, მაშ მითხარ, რა გვარად გინდა წარმართო ომი? უპასუხა თეოდორამ.

— ყოველს შემთხვევაში მე იტალიაში გავგზავნი ორს სარდალს, ეს კი ვიცი ეხლა, რომ ერთი იმათგანი ბელიზარი იქმნება.

---

*) ივერია №№ 12, 21, 22, 23, 24, 28 და 32.

— მაშ მოწყალებასავით ვითხოვ მეორე მე დაგინიშნო. ნარზეს, გინდა მეორე სარდლად შენ იყო? ჰკითხა თეოდორამ, თუმცა ჯერ იუსტინიანეს პასუხი არ იცოდა.

თეოდორამ იცოდა რომ ნარზესი ამას არ ინდომებდა.

— მადლობელი ვარ, უპასუხა ნარზესმა მკვახედ: შენ თვითონ იცი მე უხედნი ცხენი ვარ, სხვასთან ერთად ვერ გავწევ. სარდლის ყავარჯენს და დედა-კაცს ან ერთი უნდა ჰფლობდეს, ან სულს არ უნდა ჰფლობდეს.

— მაშ შენ უკანასკნელს ჰრჩეობ? ჰკითხა გულ-სატკენად იუსტინიანემ: ეს იცოდე, ჩვენო magister militum, შენ ძალიან საჭიროც არა ბძანდები.

— როგორც ყოველი სხვა კაცი ამ ქვეყნიერობაზე, იუსტინიანევ! უპასუხა ნარზესმა: კიდევაც დიდი ბელიზარი გაჰგზავნე. დეე მესამედაც გამოჰსცადოს ბედი იმ ქვეყანაში, სადაც ასე უხვად მოდის დაფნის ფოთოლი. ჩემი საათი ჯერ არ მოსულა. ამ ჟამად კი მე ტყუილ-უბრალოდ მოწამე ვარ თქვენის ცოლ-ქმრობის ბედნიერებისა, მე მეტი ვარ აქ. ხოლო ერთს რჩევას კიდევ მოგცემ. ბოლოს და ბოლოს მაინც ის გამოვა, რომ შენ ნარზესი უნდა გაჰგზავნო იტალიაში. ამას რამდენადაც ადრე იქმ, იმოდენად ნაკლებ შესვამ წყენისა და დამარცხების მწარე ფიალას და ხარჯიც ცოტა მოგივა. ვაი თუ ნეკრესის ქარებმა ნარზესი საიქიოს გაისტუმროს და გოთების მეფე ტოტილი კი დარჩეს, მაშინ ვიღა დაამარცხებს ტოტილსა? იცი, იუსტინიანევ, შენგან დადგენილს კანონებში რომელი უფრო ყველაზედ გონიერია?

— რომელი?

— იგი, რომელიც სიკვდილით ჰსჯის მას, ვინც დედოფალზედ შენ შეგასმენს რასმეს,—მართო ეგ კანონია მისი მფარველი და მხსნელი.

ჰსთქვა ეს ნარზესმა და გამოვიდა ოთახიდამ.

— უსირცხვილოვ, მიაძახა თეოდორამა და გიაყოლა მრისხანე თვალი მიმავალს ნარზესს: მუქარასაც მიბედავს. მოიცა, ბელიზარის მოერჩები თუ არა, ხელს მივჰყოფ ნარზესსაც.

— ჯერ კი ორივენი ჩვენთვის საჭირონი არიან, უპასუხა იუსტინიანემ: მაშ შენ მაინც იმ კაცისვე სარდლობას მირჩევ იტალიისათვის?

— იმ კაცისვე.

— ეხლა მე უფრო ბევრი საბუთი მაქვს იმას არ მივენდო. იგი ხშირად ინახულებს ხოლმე შეთქმულთა და მათთან მისვლა-მოსვლა აქვს.

— ეგ მართალია, იუსტინიანევ, ხოლო მაგას იგი ჩემის ბძანებითა შვრება; იგი ხელში მოგვცემს ყველას და ამით დაღუპავს.

— შენც რომ გატყუებდეს?

— მაშინ ხომ დაგვიჯერებ და იტალიაშიაც გაჰგზავნი, თუ ხვალ იგი ხელ-შეკრულებს მოგგვრის შეთქმულთა და მათ შორის იმასაც, ვინც შენ არ იცი და იმათი საიდუმლო წინამძღვანი კია.

— როგორ არ ვიცი: იმათი წინამძღვანი ფოტიუსია, გააზატებული მონა ბელიზარისა.

— არა, იუსტინიანევ. იმათი წინამძღვანი თვით იგია, ვისაც შენ გაჰგზავნიდი სარდლად იტალიაში, რომ მე წინადვე შენთვის არ მეცნობებინა... იმათი წინამძღვანი თვითონ ბელიზარია!

იმპერატორი შეკრთა, გაფითრდა და თავის შესამაგრებლად ხელი წაავლო სელსა.

— რომ ხვალ სულ ესე მოხდეს რაც გითხარ, მაშინ ხომ მიენდობი რომაელის ერთგულებას და მას გაჰგზავნი იტალიაში ორგულისა და განდგომილის ბელიზარის მაგიერ?

— მიენდობი, მიენდობი, რასაკვირველია, ჰსთქვა იუსტინიანემ: მაგრამ ნუთუ მართლა ბელიზარი ჩემი ორგულია? თუ ეგრეა, უნდა ავაჩქარო საქმე და ვიმოქმედო.

— მე მიმიღია კიდეც ყოველივე ზომიერება, ჩემი მახე დაგებულია, ნება მომეც მახე მოვწიო და ყველანი გავაბა.

იუსტინიანემ თავი დაუქნივა ნების დართვის ნიშნად. თეოდორა კი წამოდგა და როცა ოთახიდამ გამოდიოდა უთხრა მსახურს:

— წადი და ამ წამსვე დამიძახე ცეტეგი,—რომის პრეფექტი!

(შემდეგი იქნება.)

განცხადება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი.

განმგეობა ზემოხსენებულის ბანკასა უმაღლესად დამტკიცებულის ამა ბანკის წესდების § 16 ძალითა ამით აცხადებს, რომ 13-ს დეკემბერს 1877 წ. ბანკის სადგომში, ქალაქს ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზედ, კორლანოვის სახლში ისყიდება საჯარო ვაჭრობით უძრავი ქონება ქვემოხსენებულთა პირთა, რადგანაც მათ არ შემოუტანიათ ბანკიდამ აღებულის ვალის გადასახდელად ვადის თუღი, დაწესებული წესდების § § 29, 30, 34 და 36 მუხლითა.

ტერ-მკტჩიანც, ქრისტეფორე ნიკიტის ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოველ-გვარის შენობითა და მიწითა ზომით $634^1/_2$ ოთხ-კუთხე საჟენი, ქ. ტფილისში, 2 განყოფილების 12 ნაწილში, ჩუღურეთში, ნიკოლაევის ქუჩაზედ. ვალის თავნია 78,734 მანეთი და 88 კ., შემოსატანია ბანკში 3,927 მ. და 40 კაპ.—სულ 82,662 მ. და 28 კ.

ზემიანსკისა, ნატალია ივანეს ასული, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ეზოველგვარის შენობითა და მიწით ზომით 518 ოთხ-კუთხე საჟენი, ქ. ტფილისში, 2 განყოფილების 10 ნაწილში, ნემენცების კოლონიაში, ბაღის ქუჩაზედ. ვალის თავნია 5,230 მ. და 56 კ. შემოსატანია ბანკში 234 მ. და 61 კ. სულ 5,465 მ. და 17 კ.

სულსანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სართულიანი, ორი ორ-სართულიანი და თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები. ქ ტფილისში, ა) 1 განყოფილების 1 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში. ვალის თავნია 17,435 მ. და 21 კ. შემოსატანია ბანკში 874 მ. და 60 კ. სულ 18,309 მ. და 81 კ.

თეთრაძე, გლეხა ზურაბის ძე. ა) სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამ-სართულიან შენობებითა და ბ) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის სამზარეულოთი და მიწით ზომით 125 ოთხ-კუთხე საჟ. ქ ტფილისში, 1 განყოფილების 1 ნაწილში, დავიდოვის ქუჩაზედ. ვალის თავნია 6,446 მ. და 99 კ. შემოსატანია ბანკში 389 მ. და 53 კ.—სულ 6,836 მ. და 52 კ.

პავლიეევი, იაკობ სვიმონის ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოველ გვარის შენობითა და მიწით ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. ტფილისში 1 განყოფილების 5 ნაწილში, ნემენცების ქუჩაზედ. ვალის თავნია 5,860 მ. 31 კ. შემოსატანია ბანკში 202 მ. და 20 კ.—სულ 6169 მ. და 11 კ.

ამილახვრები, კნ. ივანე და კნ. ელისაბედ თეიმურაზის ძენი. სახნავი და სამოვარი მიწები ზომით 151 დესეტინა 1,756 ოთხ-კუთხე საჟ, გორის მაზრის სოფ. ნაწრეთში. ვალის თავნია 3,481 მ. და 67 კ., შემოსატანია ბანკში 159 მ. და 79 კ. სულ 3,641 მ. და 46 კ.

აბხაზი, კნ. ირაკლი კონსტანტინეს ძე. სახნავი, სათიბი და საბაღო მიწები, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლით, ეზოთი და ხე-ხილიანის ბაღით ზომით სულ 177 დესეტინა და 7 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის მაზრის სოფელ თხინვალში. ვალის თავნია 5,968 მ. და 62 კ. შემოსატანია ბანკში 265 მ. და 24 კ., სულ 6,233 მ. და 86 კ.

ერისთავი, კნ. გიორგი (ჯიაზო) გიორგის ძე. სახნავი, სათიბი და სამოვარი მიწები და ტყე ზომით 800 დესეტინა. თიანეთის მაზრის სოფელ ბოჭორმას. ვალის თავნია 4775 მ. და 1 კ., შემოსატანია ბანკში 134 მ. და 31 კ.—სულ 4909 მ. 32 კ.

ბებუთოვი, დავით მელიქსადის ძე. სამოვარი მიწები ტყით და ხე-ხილიანის ბაღით ზომით 208 დესეტინა 378 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის მაზრის სოფელ წუნეთში. ვალის თავნია 4,476 მ. და 45 კ., შემოსატანია ბანკში 200 მ. 84 კ.—სულ 4,677 მ. 29 კ.

გაბაევი, ანდრია მიხაილის ძე. სახნავი და საძოვარი მიწები და ტყე ზომით 106 დესეტინა 320 ოთხ-კუთხე საჟ. ტფილისის მაზრის სოფელ ერტისში. ვალის თავნია 4,973 მ. და 85 კ. შემოსატანია ბანკში 57 მ. და 21 კ.—სულ 5,031 მ. და 6 კ.

ზანდუკელი, ოტია გიორგისძე. სახნავი მიწა ზომით 80 დესეტინა. თიანეთის მაზრის სოფ. ბაკნიანთკარს. ვალის თავნია 797 მან. და 97 კ. შემოსატანია ბანკში 48 მან. და 86 კ.—სულ 846 მან. და 83 კ.

თარხან-მოურავისა კნ. მარიამ ბიძინასძე. სახნავი და სათიბი მიწები და ტყე ზომით სულ 545 დესეტინა 1645 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ცხოკერში. ვალის თავნია 6682 მან. და 99 კ. შემოსატანია ბანკში 291 მან. და 23 კ.—სულ 6974 მან. და 22 კ.

ადამაშვილი, გიორგი ადამის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის შენობითა და მიწით ზომით 90 ოთხ-კუთხე საჟ. ქ. თბილისს, 1 განყოფილების 1 ნაწილში. ვალის თავნია 270 მან. შემოსატანია ბანკში 27 მან. და 46 კ.—სულ 297 მან. და 46 კ.

საყვარელიძე, მინადორ ზურაბის ასული. სახნავი მიწა ზომით 25 დესეტინა 600 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ზერტში, ცოცხნარში და ზინდისში, ვალის თავნია 500 მან. შემოსატანია ბანკში 37 მან. 20 კ. სულ 537 მ. და 20 კ.

ვართანოვი, მანას მანუკას ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი შენობითა და მიწით 57 ოთხ-კუთხისე საჟ. ქ. თბილისში 2 განყოფილების 13 ნაწილში, ავლაბარში. ვალის თავნია 600 მან. შემოსატანია ბანკში 41 მან. და 44 კ.—სულ 641 მან. და 44 კ.

მეხტიევი, სადიხ-ისპარ-ოღლი. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი შენობით და ბაღით ზომით სულ 547 ოთ-კუთხე საჟ. ქ. თბილისს 1 განყოფილების 9 ნაწილში, ბოტანიკურ ბაღის მახლობლად. ვალის თავნია 1200 მან. ბანკში შემოსატანია 66 მან. და 88 კ.—სულ 1266 მან. და 88 კ.

მირიანოვისა, ნანა დავითის-ასული. ხე-ხილიანი ვენახი ზომით 1440 ოთხ-კუთხე საჟ. გორის მაზრის სოფ. ხიდის-თავს. ვალის თავნია 400 მან. ბანკში შემოსატანია 32 მან. და 96 კ.—სულ 432 მან. და 96 კ.

ვაჩნაძისა, კნ. მართა მიხაილის ასული. ვენახი ზომით 3 დესეტინა. სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში. ვალის თავნია 2000 მან. შემოსატანია ბანკში 36 მან. და 53 კ.—სულ 2036 მ. და 53 კ.

ვაჩნაძე, კნ. გიორგი ნიკოლოზის ძე. ვენახი ზომით 1 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხე საჟ. სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეს. ვალის თავნია 1000 მან. შემოსატანია ბანკში 37 მ. და 20 კ.—სულ 1037 მ. და 20 კ.

ვაჭრობა, თანახმად წესდების 19 მუხლისა, დაიწყობა იმ ფულის რაოდენობიდამ რაც ზემოდ მოხსენებულია ხოლო მასზედ დაერთვის კიდევ თუ რამ ვალია სახელმწიფო ან საერო გარდასახადისა. ვალის თავნი შეიძლება მოშორებულ იქმნას გირაობის ფურცლითაცა, რომელსაც ბანკი იმ ფასად აიღებს რა ფასისაც არის, ესე იგი, მანეთი მანეთად. შეიძლება მსყიდველმა თავისზედ გადიტანოს ვალის თავნი ბანკის თანხმობითა, ხოლო ვადაზედ შემოსატანი ფული და სხვა ნაშთები უნდა უსათუოდ ნაღდად იყოს შემოტანილი.

თუ 13-ს დეკემბერს 1877 წ. რომელიმე მამული არ გაიყიდება, მაშინ წესდების 22 მუხლის ძალითა დაინიშნება გასასყიდად მეორე უკანასკნელი ვადა 28 დეკემბერს 1877 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Октября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.